# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 219 კვირა, 4 ოქტომბერი 1909 წ. № 219

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.


ქაიხოსრო ალექსანდრეს-ძე მახარაძე და ძმა მისი გიორგი ალმასხანის-ძე ხუტულაიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფასი მეუღლის, ხოლო მეორე—რძლის

### ესმა გიორგის ასულის მახარაძისას

დაკრძალვა საფიჩხის სასაფლაოზე კვირას, 4 სექტემბერს წესის აგება საფიჩხის ეკლესიაში. (1—კვ.—1)

---

დღეს, 4 ოქტომბერს,

### ბარბარე გაბრიელის ასულის გაბაშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, განსვენებულის სულის მოსახსენებლად, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყობენ ნათესავთა და ნაცნობთ იოსებ დავითის ძე გაბაშვილი შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—485—1)

---

ეკატერინე ილიკოს ასული ყერებკოვისა და თავადი ილია ილიკოს ძე დადიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ დედის

### კნ. ერნესტინე მაქსიმეს ასული დადიანისას.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 4 ოქტომბრისთვის სოფ. მოიდანახეს, ზუგდიდის მაზრა, ქუთაისის გუბერნია. (2—ფ.—2)


წარმოდგენა № 4. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 4.

კვირას, 4 ოქტომბერს, 1909 წელს

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ან. ჩირგაძის და ნ. კოლხიდელის მონაწილეობით პიესა ა. ოსტროვსკისა

## „უდანაშაულოდ დასჯილნი“

5 მოქ. თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ნ. კოლხიდელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი. ე. ჩერქეზიშვილი, ან. ჩირგაძე; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარ-ადლიშვილი ვ. მატარაძე, ი. ყიფიანე.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსად. „ფარისეველი“, „დამბაჩა და რევოლვერი“.

მორიგი რეჟისორი კ. შათირიშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 4 ოქტომბერს, 1909 წ.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

## „შემოსავლიანი ადგილი“

კომედია 5 მოქმედებად ოსტროვსკისა.

წარმოდგენაში მონაწ. მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათ საღამოს, 15 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენად; „ღალატი“ სუმბათაშვილისა, „ექიმი მტოკმანი“ იბსენისა და სხვ.

დაბეჯითებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

(3—3) რეჟისორი შათირიშვილი. ადმინისტრატორი სვირელი.

---

**ექიმი ჩარექოვი** ქ. ქუთაისში.

სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით სიფილისით, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გიმნაზიის ქუჩა, აზულამის მეზობელი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—22)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—263)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მისვე ქიქოძის სახლი. (0—უ.—15)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—22)

**ექიმი** კბილისა **ს. ვაშაყმაძე**

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს ახალ ბინაზე დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—22)

**ექიმი ზ. მაგაკიანი.**

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6. ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—35)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—78)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ზემოხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—40)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—11 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—3)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი. (წლ.—ნ.—171)

---

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რაჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—10)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ხომრებისაგან. (100—ზალ.—20)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ჩუდნოვსკი**.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ.და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—ბავშ. ყ.-დღე. 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3.

**ნოვიცკი**—ბებ., ქალ., ყოველ დღე 1—2

**ახვლედიანი**— შინაგ. და ბავშ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ ს.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ. ყ.-დღ. კვირ. გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურ. $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**ასპიროვი**—ცხვ. ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსენარის წრატით. (100—ნ.—00)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—20)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**

ხუთ ოქტომბრიდან განაახლებს ავადმყოფების მიღებას. (0—კვ.—74)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს, საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—28)

**ქუთაისში** ექიმმა გაბრიელ იოსების ძე გოკიელოვმა, საზღვარგარეთ წასვლის გამო, დროებით შესწყვიტა ავადმყოფების მიღება. (3—2)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელქ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—14)

---

ქ. თელავში

იყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

## ჭრა-კერვის

წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსნათათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მან., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. ადრესი: Телавъ. Софьѣ Іосифовнѣ Симоновой. Бульв. пер. 2, собственный домъ. (5—უ.—3)

## საჭიროა ქართველი ქალი

ბავშვის მომვლელად. იკითხეთ მატინოვის ქ. № 18, ზემო სართულში. (1—488—1)

---

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს). (25—ნ.—22)

## „ტფილისის სობრანიე“

„ტფ. სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭო იწვევს იმათ, ვისაც სურთ მომავალ ზამთარს იკისრონ გათბობა „სობრანიეს“ საზამთრო სადგომისა, მანთაშევის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე, შემოიტანონ თავიანთი განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით. განცხადებანი უნდა წარედგინოს კანტორას არა უგვიანეს 1909 წლის 20 ოქტომბრისა. გათბობის პირობების გაგება შეიძლება „სობრანიეს“ კანტორაში ყოველ დღე, საღამოს 8—10 საათზე. (2—476—2)


პირველ ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, ტფილისიდან მცხეთაში მგზავრობის დროს

## დაიკარგა

უბის პორტმანე. შიგ ფული არა ყოფილა. იყო მხოლოდ პასპორტი და სხვა და სხვა კვიტანცია. მპოვნელისათვის ესენი გამოუსადეგარია. ვთხოვ მპოვნელს, მოიტანოს დაკარგული პორტმანე „დროების“ რედაქციაში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. (3—2)


კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ გლეხთა ამხანაგობა

## „კახეთი“

Товарищество крестьянских кахетинских виноделов садовладельцев

„Кахетія“

... იყიდება ჩვენი ღვინო ყველა სამიკიტნოში მაღაზიებში და სასმელების დუქნებში

10 ბოთლს ზევით ვგზავნით ჩვენის ხარჯით ტფილისში.

По такой этикетъ продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. № 7. Михаилу Никол. Кодалову.

(100—ნ.—3)

## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

ფაბრიკის,

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ტელეფონი N 355.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ. 14)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალოში

მიიღებენ კაბებს ქალებისას და ბავშვებისას შესაკერად ძალიან იაფად, ყველასათვის ხელ მისაწვდენ ფასად.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3, ზარი მესამე. დილიდან 3 საათამდე. (5—უ.—1)


## ტფილისი, 4 ოქტომბერი

ხვალ, 5 ოქტომბერს, იწყება ტფილისის საგუბერნიო თათბირი ერობის შემოღების შესახებ. თუ დასრულებული წინასწარი თათბირი არ იყო ნამდვილი წარმომადგენელი საზოგადოებისა, წესისამებრ მისგან არჩეული და დავალებული, მით უმეტეს საგუბერნიო თათბირი არ იქნება ნამდვილი წარმომადგენლობითი დაწესებულება. მისი შედგენილობა წინდაწინვე დანიშნულია და არჩეული ადმინისტრაციისაგან და მასაც მხოლოდ რჩევის ხმა ექნება და არა გადამწყვეტი. მიუხედავად ამისა, თათბირში უმეტესობას მაინც საზოგადოებრივ ელემენტების წარმომადგენელნი შეადგენენ: ქალაქების, თავად-აზნაურობის, გლეხობის, ბირჟის, სამეურნეო და საექიმო საზოგადოებათა და სხვა წოდებრივ ან საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან არჩეული დელეგატები. ყოველ შემთხვევაში ესეთი შედგენილობა ბიუროკრატიული არაა და უნდა ვიფიქროთ, თათბირი ანგარიშს გაუწევს საზოგადოებრივ აზრს, რამდენადაც იგი გამოიხატა წინასწარ კრებებში და პრესსაში.

ხოლო საზოგადოებრივი აზრი ჩვენშიაც და მოწინავე რუს საზოგადოებაშიაც ერთსა და იმასვე ამბობს: ადგილობრივი თვითმართველობა აგებულ უნდა იქმნას ფართო დემოკრატიულს პრინციპებზე; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მალამოდ ვერ დაედება ხალხის მრავალ იარას. შიდა რუსეთში საერობო თვითმართველობა 45 წელიწადია არსებობს და ამ ხანგრძლივმა არსებობამ საკმაო გაკვეთილი მოგვცა იმის გასაგებად, თუ რა საფუძვლებზე უნდა იქმნას აშენებული ერობა, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს საუკეთესო ორგანიზაცია საზოგადოებრივ ძალთა და საუკეთესო მათი გამოყენება. ამ მხრით დიდათ საგულისხმიეროა ის განსხვავება, რომელიც არსებობს რუსეთის საერობო ისტორიის ორ ხანას შუა: 1890 წლამდე და შემდეგ. პირველ ხანაში მოქმედებდა 1864 წლის საერობო დებულება, რომელიც შედარებით ფართო ასპარეზს აძლევდა საზოგადოებრივ თვით-მოქმედებას და ნაკლებ ადგილს უთმობდა ადმინისტრატიულს შეხედულებასა და ბიუროკრატიულს თვითნებობას. ამის მეოხებით ერობა იმ ხანაში ენერგიულად იღწოდა და რაც აქვს ეხლა შიდა რუსეთის სოფელს, სულ იმ დროის ადგილობრივ თვითმართველობის მიერ შექმნილია: ფართო სტატისტიკური შესწავლა-გამოკვლევა ადგილობრივ ეკონომიურის მდგომარეობისა, სკოლა, საექიმო დაწესებულებანი, სამეურნეო დახმარების დაწესებულებანი—ყველაფერი, რითაც განსხვავდება საერობო რუსეთი იმ ადგილებისაგან, სადაც ერობა არ არსებობს, საერობო ისტორიის პირველს ხანაშია შექმნილი... 1890 წლიდან სურათი შეიცვალა. როცა ერობა წოდებრივ (თავად-აზნაურობის) დაწესებულებად გადააქციეს, როცა სამოქმედო ასპარეზი საზოგადოებას შეუმცირეს და ადმინისტრაციის შეხედულებას ძალა მისცეს, მაშინ ადგილობრივ ძალთა თვითმოქმედებას სამარე გაეთხარა, ერობამ მიიძინა ან და კიდევ უარესი—იმის დანგრევა დაიწყო, რაც წინა ხანაში იყო გაკეთებული.

ამიტომ, რუსეთის მოწინავე საზოგადოება და პრესსა წარსულ საუკუნის მე-90 წლებიდან განუწყვეტლივ მოითხოვდნენ ერობის გადაკეთებას, ხოლო ვიტტეს მიერ მოწვეულ ცნობილ საგუბერნიო კომიტეტებმა თავის მუშაობას საფუძვლად დაუდეს ადგილობრივ თვითმართველობის სრული რეორგანიზაცია დემოკრატიულს პრინციპებზე. ბოლოს ეს საჭიროება უმაღლეს მთავრობისაგანაც იქმნა აღიარებული და 1904 წლის 12 დეკემბრის უმაღლესმა ბრძანებამ ქვეყანას აღუთქვა ადგილობრივ თვითმართველობის ძირითადი რეფორმა. ეხლა ეს საქმე მორიგი საკითხია რუსეთში და, თუმცა მისი დაბოლოვება-აღსრულება მესამე სათათბიროსაგან არის დამოკიდებული, სადაც თავად-აზნაურობას დიდი ძალა აქვს ხელთ და სადაც, უეჭველია, ეცდებიან ვიწრო წოდებრივ უპირატესობათა დაცვას ადგილობრივ თვითმართველობაში, მაინც ეჭვს გარეშეა, რომ ქვეყნის ღაღადი ვერ დარჩება უდაბნოში მღაღადებელ ხმად და ერობა დროის მოთხოვნილების თანახმად იქნება გადაკეთებული. ეს, ასე ვთქვათ, კატეგორიული იმპერატივია ისტორიულის მსვლელობისა, რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერც ბიუროკრატია, ვერც მესამე სათათბირო.

საკითხის ესეთი ვითარება მხედველობაში უნდა იქონიოს ჩვენმა საგუბერნიო თათბირმაც, რომლის საზოგადოებრივი ნაწილი, სამწუხაროდ, შეპყრობილია ერთგვარის მავნე ჰიპნოზით, ფართო საზოგადოებისაგან გადაცემულითა და ნაანდერძევით: ამბობენ—სულ ერთია მთავრობა საკითხს თავის გემოსა და შეხედულებაზე გადაწყვეტს და ჩვენს აზრს არავითარი მნიშვნელობა არ

ექნებაო. ესეთი სასოწარკვეთილი თვითმთავრონებული აზრი შორს უნდა იქმნას გადაგდებული, რადგან თვით საკითხის ისტორია და დღევანდელი მისი მდგომარეობა გვეუბნებიან, რომ აწინდელი დამახინჯებული ადგილობრივი თვითმართველობა უარჰყოფილ იქნება, თუნდაც ბიუროკრატიასა და რუსეთის „ზუბრებს" ეს არ უნდოდეთ. მეორეს მხრით, საზოგადოებრივი დაწესებულება ყოველ შემთხვევაში მოვალეა საზოგადოებრივ აზრის გამომხატველი იყოს და უნდა სთქვას ერობის შესახებ ის, რაც მოწინავე საზოგადოების, ხალხის და პრესსის სურვილი იყო გუშინაც და არის დღესაც ჩვენში, ესე იგი, უნდა აღიაროს, რომ ამიერ-კავკასიის მომავალი ერობა უთუოდ უნდა აიგოს დემოკრატიულს პრინციპებზე. ესვე პირდაპირ სთქვა ახლად დასრულებულმა წინასწარმა თათბირმა, რომლის ოქმები და მოხსენებები გადაეცემა ხვალ საგუბერნიო თათბირს. ამ ოქმებსა და მოხსენებებში სწერია: რაც შეიძლება მცირე ცენზი, რომელიც გვიახლოვებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, უწოდებრივობა და ხალხის თანასწორი მონაწილეობა, ფართო სამოღვაწეო ასპარეზი და რაც შეიძლება ნაკლები დამოკიდებულება ადმინისტრაციის შეხედულებისაგან. ეს მთავარი პრინციპები თუ არ იქმნა გატარებული საგუბერნიო თათბირის მიერ თავის მუშაობაში, იგი ცუდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას და მისი ხსენებაც შავად აღიბეჭდება ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში.

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ დღეებში მოსკოვში დაიწყო მონარქისტების კრება. ჯერ არ ვიცით, რა მოხდა, რა ჰანგებზე დაიწყეს გალობა, მაგრამ აშკარა კია, წინდაწინვე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაზედაც ილაპარაკებენ და იმსჯელებენ. დუბროვინებსა და ვოსტორგოვებს, პურიშკევიჩებსა და ბულაცელებს ვილა არ იცნობს! მთელი რუსეთის შავრაზმელობამ და უმთავრესად მისმა რჩეულმა პირებმა თავი მოიყარეს, „რუსეთის ხსნაზე" გააბავენ ლაპარაკს. ეხლა ამ შავბნელ დროში, როდესაც ყველგან ნაძირალთა ფარფაშია, ეს კრებაც დღესასწაულია მტარვალობისა და ვერაგობისა. ვოსტორგოვები და პურიშკევიჩები შეიკრიბნენ არა იმიტომ, რომ დათრგუნვილი და დარღვეული კანონიერება აღადგინონ, არამედ შავრაზმელობა განამტკიცონ და უფრო დიდი ნიადაგი მოუპოვონ უუფლებობას, უკანონობას. მთელ რუსეთის დიდს სივრცეზე გაფანტული შავრაზმელები თურმე სუსტადა ჰგრძნობენ თავიანთ თავს, ცალკე კავშირები ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებენ. ოდესისა და კიევის ამბები ვერ აკმაყოფილებთ სხვა და სხვა სახელწოდების მონარქისტებს და იმათ უნდათ ეხლა მჭიდროდ შეერთდნენ, შეკავშირდნენ და თავიანთი მოქმედება შეათანხმონ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავს ეს შეთანხმება. არცა ჰფარვენ გულადი შავრაზმელები, ისინი აშკარად ლაპარაკობენ, რაცა სურთ. განა ვოსტორგოვმა ხმა მაღლა არა სთქვა—„სისხლით მოვრწყავ საქართველოსაო"—მხედველობაში ჰყავს არა მარტო საქართველო, არამედ მთელი არა რუსობა. მაგრამ მოვიცადოთ კიდევ. გავიგებთ, რაც მოხდება. დავსტკბებით მონარქისტების გალობით.

* * *

ბევრი რამ შეიცვალა ჩვენ ცის ქვეშ ამ რეაქციის ბატონობის დროს. უცვლელად არც მუშათა მდგომარეობა დარჩა. 1905 წელს დამკვიდრებული პირობები მუშათა და კაპიტალისტთა შორის ისტორიას გადაეცა. სამუშაოს გამცემებმა ისარგებლეს დროთი და შეეცადნენ თავიანთვის ხელსაყრელი პირობები დაედოთ მუშებისათვის. გაზეთი „მომავალი" ეხება უსახელო საზოგადოებისა და მუშათა შორის მომხდარ უთანხმოებას და ამბობს:

„სამი წლის წინად თუ მუშები უყენებდნენ მოთხოვნილებას — მოთხოვნილებაზე უსახელო საზოგადოებას, ამ ბოლო ხანებში კი შეტრიალდა და მოთხოვნილების წამოყენება საზოგადოების წარმომადგენლებმა იწყეს; წესის გასამაგრებლად კი მთავრობას მიმართეს და ნამესტნიკის ბრძანებით კიდევაც დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა მოწესრიგება დამოკიდებულებათა, ერთი მხრით ქალაქსა და უსახელო საზოგადოებას შორის და მეორე მხრით, საზოგადოებასა და მოსამსახურეთა შორის".

ეს კომისიაც გაზეთის სიტყვით, საწველ ფურად გამოიყენა საზოგადოებამ: შეტაკების დროს მიმართავდა ხოლმე მუშებს, თავს მოაჩვენებდა, მე კანონიერებისა და წესიერების ნიადაგზე ვდგევარო. ეხლა კი, როდესაც თვით საზოგადოება უდგენს მუშებს სხვა და სხვა ყოვლად შეუწყნარებელ მოთხოვნილებას, საზოგადოება რიხით გაიძახის, მე ვარ საქმის ბატონ-პატრონი, არავის ნებას არ მივცემ ჩემს საქმეში ჩაერიოსო. სანამდის საჭირო იყო კომისიის არსებობა, საზოგადოების გამგეობა თხოულობდა, რომ კომისია ყოფილიყო. ერთის სიტყვით უსახელო საზოგადოება ხარბად სარგებლობს იმ უპირატესობით, რომელიც კაპიტალისტებსა აქვთ მინიჭებული დღეს. დირექცია არღვევს იმ პირობას, რომელიც მუშებთან დადო, და ეხლა ლოკაუტებსაც უცხადებს მუშებს. „მომავალი" სწერს:

„სანამ კაპიტალისტებისათვის სასარგებლოა, მთავრობა ნებას აძლევს თავის თავს ჩაერიოს მუშათა და კაპიტალისტთა შორის ატეხილ დავაში და ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ იმოქმედოს, ხოლო როცა კაპიტალისტები არღვევენ ხელშეკრულებას და ფეხქვეშ სთელავენ ყოველ გვარ პირობებს, მაშინ ამბობენ: ეს ჩვენ კომპეტენციის აღმატებას, ეს ჩვენ არ შეგვეხებაო".

## დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
3 ოქტომბერი

### სპარსეთი

**თეირანი**. კავკასიელ ფიდაებს წინადადება მისცეს დარჩნენ თეირანში და აირჩიონ დეპუტატი მინისტრთა თათბირზე დასასწრებლად.

### ფერერის საქმე.

**რომი**. მაღაზიები სულ დაკეტილია. შუადღის შემდეგ მცხოვრებლებმა დემონსტრატიულად ქუჩებში გაიარეს. პოლიციამ მანიფესტანტები რამდენჯერმე გაჰფანტა. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. სტეფანიის სააგენტოს მილანიდან და ფლორენციიდან დეპეშით აუწყობინებენ, გაფიცვა თან და თან ძლიერდებაო. სპეციაში საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. მიტინგმა პროტესტი განაცხადა ფერერის სიკვდილით დასჯის გამო.

**ტრიესტი**. მცხოვრებლებმა ფერერის სიკვდილის დასჯის გამო პროტესტი განაცხადეს. მთელი დღე ხალხი დემონსტრატიულად ქუჩებში დადიოდა. შუადღისას საერთო გაფიცვა დაიწყო. მანიფესტანტებს რამდენიმე ალაგს შეტაკება მოუვიდათ სალდათებთან. საღამოთი დემონსტრანტების რიცხვს მიემატა. მანიფესტანტები ესპანიის საკონსულოსკენ გამემართნენ, მაგრამ სალდათები და პოლიცია გადაეღობა წინ. მანიფესტანტებმა პოლიციას და სალდათებს რევოლვერები ესროლეს. დაჭრილია სამი სალდათი. დააპატიმრეს 54 კაცი.

**ლიონი**. ხალხმა ესპანიის საკონსულოს წინ დემონსტრატიულად გაიარა ეპაშესი. გარს შემოეხვივნენ პოლიციელებს. პოლიციელებმა იარაღი იხმარეს. საქმეში ჩაერივნენ გვარდიელები. მანიფესტანტები გაიფანტნენ, მაგრამ ისევ მალე შეიკრიბნენ. მანიფესტანტებმა რევოლვერები ისროლეს. დაჭრილია რამდენიმე კაცი.

**ბუდაპეშტი**. სოციალ-დემოკრატებმა კლერიკალურ გაზეთ „ალკოტმანის" რედაქციის წინ დემონსტრაცია მოახდინეს. გაზეთი ესპანიის მთავრობას აქებდა ფერერის სიკვდილით დასჯის გამო. დააპატიმრეს ოთხი კაცი. ესპანიის საკონსულოს პოლიციელები იცავენ.

### საზღვარ-გარედ.

**ბარცელონა**. გუშინ, 2 ოქტომბერს, ყუმბარის აფეთქების დროს, არავინ დაშავებულა. ეს ყუმბარა პოლიციელებმა აღმოაჩინეს და პოლიციაში წაღების დროს აფეთქდა.

**მაასლიუსი**. დალუპულ გემის გადარჩენის დროს ნალმოსან ბარკასზე აფეთქება მოხდა. მოკვდა 6 კაცი, მათ შორის, აფიცერი ბარკასი სულ ერთიანად გაფუჭებულია.

**მიუნხენი**. ერთმა ლიბერალმა დეპუტატმა დეპუტატთა პალატაში შეკითხვა შეიტანა, თანახმაა თუ არა მთავრობა, რომ გააუქმოს რუსეთთან 1885 წელს დადებული ხელშეკრულობა, რომლითაც ორთავე სახელმწიფოები მოვალენი არიან ბოროტ-მოქმედები გასცენო. მინისტრ-პრეზიდენტმა ნოდეტილსმა ამაზე განაცხადა: ხელშეკრულების დარღვევა რიგიანად უნდა იყოს და საბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულობის დარღვევას ცუდი შედეგი მოჰყვება, ამიტომ მთავრობა ვერ დაარღვევს ამ ხელშეკრულობასო. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატებმა პალატას წინადადება მისცეს, გავაუქმოთ ხელშეკრულობაო. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: ხელშეკრულების დარღვევა რუსეთთან მეგობრობის მოსპობას ნიშნავს, ამიტომ მთავრობა ვერ დაეთანხმება პალატასო. დეპუტატთა პალატამ ერთხმად დაადგინა, 1885 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულობა გაუქმდესო.

**ნიუ-იორკი**. კუკის თანამგზავრმა ბარილმა ფიცის ქვეშ განაცხადა, კუკი მთა მაკინლეიზე მხოლოდ 10,000 ფუტის სიმაღლეზე ავიდა და თავისი დღიურში ისე ჩამაწერინა თითქოს იგი მთა მაკინლეიზე სულ ასულიყოსო. კუკის ფოტოგრაფმა მილლერმა ბარილის სიტყვები დაამოწმა.

კუკმა ამის შესახებ სთქვა: ძალიან გაკვირვებული ვარ ბარილის სიტყვებით. ჩემს აზრს ამის შესახებ მაშინ გამოვთქვამ, როდესაც შევიტყობ, რამ აიძულა ბარილი ეს ეთქვა. მაკინლეიზე რომ ექსპედიცია გაგზავნოს, იქ ჩემგან დატოვებულ ნიშნებს ნახავდნენო.

**ბარსელონა**. აფეთქდა სამი ყუმბარა. დაჭრილია სამი კაცი.

### რუსეთი

**ჰელსინგფორსი**. სენატს გამოუცხადეს უმაღლესი ბრძანება, სენატის სამეურნეო დეპარტამენტის სენატორად გენერალ-მაიორი გედდუნა დაინიშნაო.

**კიევი**. სამოსამართლო პალატამ დაამთავრა კიევის მაზრის პოლიციის უფროსად ნაშოთვის ასლანოვის და აგენტ ზელდის საქმე. ამათ ჰბრალდებოდათ სამსახურის დროს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედების ჩადენა. სასამართლომ გადაუწყვიტა: ასლანოვს სამი წლით და სამი თვით, ზელდს სამის წლით ტუსაღთა განყოფილება. ამას გარდა ორთავეს ჩამოერთვათ განსაკუთრებული უფლებები.

**პეტერბურგი**. ოლქის სასამართლომ განიხილა „ბირჟევაია ვედომ."-ს რედაქტორის საქმე. გაზეთში დაიბეჭდა წერილი ბელოსტოკის აწიოკების შესახებ. სასამართლომ რედაქტორი 25 მანეთით დააჯარიმა, თუ ჯარიმას ვერ გადაიხდის, რედაქტორს სამი დღით დააპატიმრებენ.

## მავნებელი სენი

დაჰკვირვებია თუ არა მკითხველი იმ უცნაურ, პირველ შეხედვით გაუგებარ მოვლენას, რომ ქართველი განათლებული საზოგადოება და ქართველი ინტელიგენცია, ერთის მხრივ, თითქოს მონდომებულია ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები დაიცვას, ხოლო, მეორეს მხრივ, თავის პრაქტიკულ მოქმედებით და ცხოვრებით არა თუ ძირიანად უარჰყოფს ამ ინტერესებს, არამედ საძირკველსაც კი უთხრის ჩვენს ეროვნულ-კულტურულ აღორძინებას. სახეში მყავს ინტელიგენციის და საზოგადოების ის ფრიად დიდი ნაწილი, რომელიც რუსულად აზროვნებს, რუსულად სწერს და შემოქმედობს და მხოლოდ რუსულად კითხულობს.

მართლაც, განა საკვირველი მოვლენა არ არის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ყველას არწმუნებს, რომ ჩემი მრწამსი ეროვნება და ეროვნების სამსახური, რომ ეს ნაწილი საზოგადოებისა ქართულ ენას პრაქტიკულ ცხოვრებაში უარჰყოფს, ხელს უშლის მწერლობის განვითარებას, ენის გავარჯიშებას და მით ეროვნების სულსა ჰკლავს და ეროვნულ ცხოვრების ძარღვს აღუნებს. განსაცვიფრებელი არ არის განა ის გარემოება, რომ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში არსებულ რუსულ პრესსის ხელმძღვანელნი, თანამშრომელნი და თითქმის მკითხველნიც უმეტესს შემთხვევაში ქართველები არიან, ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელნი. როცა ვუკვირდები ამ მოვლენას, ერთი-ერთი აზრი მებადება თავში—ჩვენი ბატონ-პატრონების პოლიტიკა ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებაშია. მას ძლიერი მოკავშირე გაუჩენია. ეს მოკავშირე თვით ინტელიგენციაა. იგი გადაგვარებულია და ამ გადაგვარების შეგნება მას არა აქვს და გულწრფელადა ჰგონია, რომ ხალხის ერთ ნაწილში სამშობლო ენის დახშვა და აღგვა და ამავე დროს მთავრობის ვითამდა გაკიცხვა ანტი-ეროვნულ პოლიტიკის გამო არის სწორედ ის მამულიშვილური მოღვაწეობა, რომელიც დღეს ესაჭიროება ქართველ ხალხს. ამ ფარისევლურ და შინაგან წინააღმდეგობით აღსავსე ფსიხიურ ატმოსფერაში იბრუნებს სულს და სცხოვრობს დღეს ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი.

ამ აზრს არ მომიწონებენ, არ დამეთანხმებიან, გაჯავრდებიან და შეიძლება შოვინისტობაც დამწამონ, რუსულ მწერლობის მტრად გამომიყვანონ. მაგრამ ამ აღშფოთებას ჩემს თვალში მხოლოდ ის ფასი ექმნება, რომ მეტად დამარწმუნებს ჩემს შეხედულებაში.

მე ძლიერ კარგად მესმის, რომ ქართველ ინტელიგენციის გადაგვარებას თავისი გასამართლებელი საბუთი ბევრი აქვს, რომ ისტორიულ პირობებს ამ საქმეში დიდი ადგილი უჭირავთ. მესმის ის, თუ რატომ აზროვნობს განათლებული ქართველი საზოგადოება უცხო ენაზე და რატომ უადვილება უფრო უცხო ენაზე დაწერილ წიგნების და გაზეთების კითხვა. საანბანო ჭეშმარიტებად გადიქცა ის აზრი, რომ ამისი მთავარი მიზეზი ეროვნულ ყველა ხარისხის სკოლის უქონლობაა. ფართო საზოგადოებაში ქართულ ენის უცოდინარობა ბუნებრივ მოვლენად გადიქცა, რადგან ადამიანს არ მოეთხოვება ის, რაც მისთვის არ უსწავლებიათ. მაგრამ ამავე დროს ამ აზრის აღიარება თვით-მკვლელობის დადასტურებას მიაგავს. მაშ რაკი გარემოების ბრალია და ყოველივე გარემოებამ წაახდინა და გარემოების მონები ვართ, საბოლოოდ, დავემორჩილოთ ამ გარემოებას, და ნუღარ ვფარისევლობთ და ნუღარ ვაჟღერებთ ეროვნულ სიმებს!

მაგრამ ჩვენ იმდენად ფართო საზოგადოება არა გვყავს ამ ქამად სახეში, რამდენადაც ისინი, ვინც ამ საზოგადოების სათავეშია მოქცეული, ჩვენ გვყავს სახეში **ქართველი მოღვაწენი**, რომელნიც ხელმძღვანელობენ რუსულ პრესსას და სწერენ და მოღვაწეობენ რუსულ პრესის საშუალებით. ამ მოღვაწეებს რომ დაეკითხოთ, გეტყვიან, რუსულ პრესსას ქართველებისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური და საზოგადოებრივიო. ამ პრესის საშუალებით ჩვენ ველაპარაკებით მთავრობას, ვიწონებთ ან ვკიცხავთ მის მოქმედებას, ვაგონებთ ჩვენს საჭიროებასო. ამ პრესსის საშუალებით ჩვენ ხელს ვუწყობთ მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას რუს ინტელიგენციის და ჩვენს შორის. და, გარდა ამისა, კავკასიის ერებსაც ვაკავშირებთ ერთმანეთთან, ერთმანეთს პატივისცემას ვასწავლით და ვამზადებთ ნიადაგს ძმურ დამოკიდებულებისასაო. ნუ თუ ყოველივე ეს დიდი საქმე არ არის და ნუ თუ ინტელიგენციის მიერ ენერგიის დახარჯვა ამ საქმეზე მადლობის ღირსი არ არისო?

აქ მოყვანილ თვითეულ საბუთს რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ არც ერთი მათგანი სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს. მთავრობასთან ლაპარაკი, მთავრობისთვის ჩვენი საჭიროების გაცნობა!.. რუსეთის მთავრობასთან ჯერ კიდევ ასის წლის წინად გავმართეთ ლაპარაკი. ამ მოლაპარაკების დოკუმენტიც არის დარჩენილი. იმ ხანებში ლაპარაკი სერიოზული ვიცოდით და მთავრობას ჩვენი ერთგულებისა და მეგობრობის პირობები დავუდევით. მეგობრობასა და ერთგულებაზე დაგვფიცეს, ხოლო „პირობებმა" ჩაიღულის წყალი დალიეს. ძალიან გვეუცხოვა, გვეწყინა. ხოლო რაც დრო მიდიოდა, ჩვენი წყენა სუსტდებოდა... დრომ „პირობები" დაგვავიწყებინა, ერთგულება და მეგობრობა კი ჩვენს გულში არ დახშულა. პირ-იქით, ეს გრძნობა კულტად გავიხადეთ, ვამაყობდით მით და ეხლაც ვამაყობთ. გვიყურეთ, რა ხალხი ვართ, დიდ-სულოვანი, გმირი ხალხი! მართალია, „პირობები"... მაგრამ ერთგულება ხომ ჩვენს ხელშია. ერთგულებაა ჩვენი ფარ-ხმალი. გულს ვის არ მოვუღბობთ! ვინ არ გაოცდება ამ თავმდაბლობით, თავდადებით! „პირობებზე," ოცნება და ლაპარაკი ბავშვობის ტიტინად არის მიჩნეული. და რადგან ყველას გვინდა დამწიფებულ ადამიანის მოწმობა გვეჭიროს ხელში, ამიტომ აგერ სამოცი წელიწადია სხვა და სხვა რუსულ ორგანოს საშუალებით, რომელსაც ვმესვეურობდით, ვბაასობდით ისე, როგორც კი შესაძლებელი იყო ბაასი „ერთგულების" ფარგალში. ქართულ ენას ვიცავდით, საზოგადოებას კი ვავიწყებინებდით ამ ენას. ენასაც პირველ - დაწყებით კლასებისთვის ვიცავდით. სრულუფლებიან ეროვნულ სკოლის წამოყენების საჭიროებას ფიცის მოღალატეობად ვთვლიდით. ეკლესიაც გვაფიქრებდა, ავტოკეფალია არა. ავტოკეფალია ამ რამდენიმე წლის წინად მოგვაგონდა, მაგრამ დროზედ გონს მოვედით და ამოვიღეთ გულიდან უკანონო სურვილი. ვითხოვთ მხოლოდ, რომ ღვთის-მსახურება ხალხისთვის გასაგებ ენაზე აწარმოვონ. ვითხოვდით აგრეთვე იმას, რაც უკვე ორმოცი წელიწადია რუსეთში არსებობს, ერობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს. ხანდისხან მიწის შესახებაც ვლაპარაკობთ. ციფრებით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში მიწის სივიწროვეა, რომ რუსეთის კოლონიზაციას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ხოლო ყოველ ამგვარ საჭიროების წამოყენების დროს არც ერთხელ არ გვავიწყდებოდა. მოგვეგონებინა ძლიერთა საყურადღებოდ, რომ ერთგულნი ვართ, ნამსახურნი ვართ და ღირსნი ვართ წყალობისა. მწყალობელი კი წყალობას არ იმეტებდა და არც სკოლას, არც ეკლესიას, არც მიწას (სხვაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ) არა გვეღირსა რა და ისევ ღარიბნი ვართ და უსწავლელნი, როგორც წინად ვყავით, ხოლო ამასთან უფრო დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი.

მე ვამბობ, რომ რუსულ პრესსას, სადაც ქართველები სცდილობდნენ თავიანთ ინტერესების დაცვას ძალ-შემრევ პოლიტიკისაგან, **არავითარი** გავლენა არა ჰქონდა მთავრობის პოლიტიკის **სისტემის** შეცვლაზე ჩვენს ქვეყანაში. შეიძლება ზოგიერთ მოხელეზე, თუ მმართველზე მოქმედებდა ეს თუ ის წერილი და საბუთი, შესაძლებელია, რომ დროებით ეს მოხელე სცვლიდა თავის მოქმედებას, ან ამცირებდა ბოროტ-მოქმედებას, მაგრამ **მთელ სისტემაზე** ამ პრესსას არავითარი გავლენა არა ჰქონდა. ვისაც ცოტათი მაინც აქვს გათვალისწინებული სამოქალაქო მმართველობის ისტორია კავკასიაში, დაგვეთანხმება ამაში. არა თუ ამაში დაგვეთანხმება, იმაშიაც კი, რომ სწორედ ამ უკანასკნელ ოცდა-ათი წლის განმავლობაში ამ სისტემამ სიმტკიცე მიეცა და სწორედ ეხლა გამოისახა მთავრობის წრეებში შეგნებულად შემუშავებული პროგრამმა მოქმედებისა. ვისაც წაუკითხავს უკვე შევრდომილესი მოხსენება გრაფ ვორონცოვ დაშკოვისა (1907 წ.), ამაშიაც დაგვეთანხმება.

და შეუძლებელია, რომ ყოველივე ეს სხვანაირად იყოს. თვით-მმართველობა [illegible] მხოლოდ და მარტო იმას, რაც ძალას წარმოადგენს, რბილ ფაფას კი სჭყლეტს იგი თავის კლანჭებში. ხოლო ასე იქცევა არა მარტო მონარქიული თვით-მმართველობა, არამედ ხშირად დემოკრატიული წარმომადგენლობაც კი. გულ-უბრყვილონი ნუ ვართ და ნუ გვგონია, რომ რუსეთისათვის სხვა კანონებია დაწესებული ისტორიის მიერ.

გავსინჯოთ ახლა მეორე საბუთი—რუსეთის ინტელიგენციასთან დაახლოვება და მისთვის ჩვენი თავის და ვინაობის გაცნობა. ქართველი ხალხის ისტორია ოცდა-ათი საუკუნის ისტორიაა. ასურეთ-ბაბილონის მომსწრეებს ტელეგრაფისა და ელექტრონის ხანამდე მოგვიღწევია. და დღეს გარემოება ისეთი დაგვიდგა, რომ იძულებულნი ვართ ჩვენს ვინაობის შესახებ ვილაპარაკოთ: იცოდეთ, თანამედროვე ხალხნო და შენ, რუსეთის ინტელიგენციავ, რომ ჩვენცა ვართ. სწორედ ბობჩინსკის მდგომარეობაა: Нѣтъ, вы только скажите, что въ такомъ то городѣ живетъ Петръ Ивановичъ Бобчинскій! ვემუდარებით ყველას. ოცდა-ათი საუკუნის ისტორია კი სადღაც ჩაიყლაპა! ჩაიყლაპა იგი არამც თუ სხვებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. წარსულთან ძაფები გაწყვეტილი გვაქვს. რუსულად ვწერთ ქართველების შესახებ და ამ ქართველების ისტორია, კულტურა, ლიტერატურა თუ ხელოვნება ჩვენთვის სრულიად უცნობი საგანია. მაგრამ ძალიანაც რომ სწავლულნი ვყოფილიყავით ამ დარგში, მაშინაც უნაყოფო იქნებოდა ჩვენი გარჯა, რუსის ინტელიგენციას ვერც მაშინ გავაცნობდით ჩვენს თავს. რუსის ინტელიგენცია ჩვენგან შორს არის, იგი ჩვენს გაზეთებს არა კითხულობს. კავკასიაში ინტელიგენცია არ არსებობს. აქ არიან სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი. ვისაც რაიმე ნიჭი გამოაჩნდება, ჩვენსა არა რჩება, თავისიანებში მიდის. და პეტერბურგსა და მოსკოვში დღეს ბევრია გამოჩენილი პირი, რომელთაც თავიანთი ბავშვობა და ხშირად ყმაწვილ-კაცობაც აქ გაუტარებიათ.

კავკასიაში მცხოვრები რუსის საზოგადოება რუსეთის ინტელიგენციაზე ჩვენსავით არის დაშორებული. მართალია, ეს საზოგადოება ერთფეროვანი არ არის, მასში ავიც არის, კარგიც, მაგრამ არავისთვის დასამალი არ არის, რომ ამ ბოლო ხანებში მხოლოდ ავმა სულმა იწყეს მოქმედება, მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ მიმართული. და თუ ამათვის, ამათ ჩასაგონებლად აარსებთ რუსულ გაზეთებს, დაგვეთანხმებით, რომ უმადურ საქმეს სჩადიხართ, რადგან არც თქვენ სიტყვას, არც თქვენს პრესსას არავითარი გასავალი არ აქვს ამ საზოგადოებაში. და იცით რატომ არა აქვს? იმიტომ კი არა, რომ ეს ხალხი ბოროტია და ბოროტის გულს არ მისწვდება-რა, არა, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენს გაზეთებს და თქვენს ნაწერებს ფლიდობის ელფერი აქვს, გულწრფელობის ნიშანწყალი არ აცხია. სტყუით და სხვებსაც ატყუებთ და გგონიათ, რომ დაგიჯერებენ. და არც გიჯერებენ. „ხულიგანებს" ეძახით, ხულიგანი კი მართალია იმაში, რომ სტყუით, რადგან ყოვლად შეუძლებელია ადამიანმა, რომელსაც ტყავი აქვს გადაყვლეფილი, იძახოს—არა მტკივა, სასიამოვნოც არის, ვენაცვალე იმას, ვინც გამატყავა და გამცარცვაო. და როდესაც ამ გადატყავებულ ტანზე „ხულიგანების" შოლტი გვხვდებათ, ყვირილს იწყებთ, ძირს ხულიგანები, ესენი არიან რომ სულს გვიხუთავენ, რა ნება აქვთ, რომ გადატყავებულ ტანს გვიშოლტავენო. ხულიგანები კი ხარხარებენ და შოლტზე შოლტს გთავაზებენო!

მაგრამ თქვენ ამბობთ, რომ ...

...სის ერთა სოლიდარობას ვემსახურებით. არ ვიცი, შეიძლება მართლა გქონდეთ ეს განზრახვა, ხოლო ამ სოლიდარობას თქვენ არ ემსახურებით და ვერც ემსახურებით, რადგან სოციალიზმი არა გწამთ, სოციალიზმს დასცინით. ამით იმისი თქმა არ მინდა, რომ ერთა სოლიდარობას, დღევანდელ პირობებში, მარტო სოციალისტები ემსახურებიან. მაგრამ ის ყალბი პოზიცია, რომელზედაც სდგეხართ, ყოველ შემთხვევაში, ერთა სოლიდარობას ხელს ვერ შეუწყობს. და თქვენი პოზიციის სიყალბე იმაში იხატება, რომ აშკარად არ ამჟღავნებთ თქვენს აზრებს და გრძნობებს, „პოლიტიკანობას“ თამაშობთ, არავინ იცის, რას ესწრაფვით და როგორ გესმით კონკრეტულად ერთა სოლიდარული ურთიერთობა. და როდესაც ძმობასა და სიყვარულზე ლაპარაკობთ, უნებლიეთ არავის სჯერა, რადგან არავინ იცის თქვენი ნამდვილი აზრი და სულის კვეთება.

მაშ რა არის, რისთვის ირჯებიან ქართველი მოღვაწენი? რატომ ხარჯავენ ამ უმადურ საქმეზე ამოდენა ჯანს, ენერგიას და ფულს? ენერგია და ფული კი ბევრი იხარჯება. ხუთი ექვსი გაზეთის გაძღოლა და ხელმძღვანელობა სახუმარო საქმე არ არის. ტფილისში თუ სამი არა, ორი გაზეთი მაინც არის, სადაც ქართველები მესვეურობენ და თანამშრომლობენ. ბათომშიაც ერთ დროს ორ გაზეთს უძღვებოდნენ ქართველი ინტელიგენტები. მაგრამ პატარა ქალაქში ორი გაზეთის არსებობა ძნელია და ერთი გაზეთი გადაიტანეს ფოთში. ფოთში ეს გაზეთი ვერ იკიდებს ფეხს და დროებით დაიხურა. ვამბობ დროებით, რადგან ხმა დადის, რომ გაზეთის საქმე მალე გამოკეთდება, რადგან მის ხელმძღვანელობას კისრულობს იქ მცხოვრები ცნობილი ქართველი მოღვაწე. აგერ, ორი წელიწადია ლაპარაკი ბაქოს ქართველ საზოგადოებაში რუსულ გაზეთის დაარსების შესახებ. მოკლე ხანში ეს წადილიც, როგორც იწერებიან, განხორციელდება. ამის შემდეგ უნდა მოველოდეთ, რომ ამგვარივე რუსული ორგანოები დაარსდებიან ქუთაისში, ხონში, გორში, თელავში და დუშეთში, ერთიც ლანჩხუთში ან ოზურგეთში. და ყველა ამისი ჩამდენნი გაკვირვებულნი ვიძახოთ, საკვირველია, რატომ არის, რომ ქართულ საზოგადოებაში ქართული ლაპარაკი აღარ ისმის! ენა ხომ გვავიწყდება და გვავიწყდება, მაგრამ ამასთან ერთად საზოგადოებასა და ხალხს შორის უფსკრული უფრო ღრმა ხდება და გათხრილი ორმო ამოუვსებელი რჩება. და საკვირველიც არ არის, რადგან რუსულ გაზეთს ამიერ-კავკასიაში ვიწროდ შემოფარგლული მკითხველთა წრე ჰყავს. ხალხის გულამდე ამ ორგანოს მისავალი გზა არ აქვს, რადგან ხალხს მისი არა ესმის-რა. გაზეთი გამოდის ქალაქებში, ქალაქებშივე ვრცელდება ინტელიგენციის და მოხელეების წრეებში. ასე რომ ორგანოების ხელმძღვანელებმა წინდაწინვე იციან, ვისი გემოვნება და მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილონ. უნდა დააკმაყოფილონ გემოვნება და მოთხოვნილება ქართველ საზოგადოების გადაგვარებულ ნაწილისა. ამ „გადაგვარებულთ“ უყვართ პატრიოტული თემები, მათს გულში რაღაც ნაშთი დარჩა, მემკვიდრეობით გადმოცემული, მაგრამ გაბედულად და მკაფიოდ საკითხის დაყენებას კი გაურბიან. შეცვლილი სულიერი ვითარება საკმაო ენერგიას არ იძლევა მოქალაქობრივ გაბედულობისთვის. და როგორიც მკითხველია, ისეთი გაზეთია.

პირადად არავისი წყენა არ მინდა. რუსულად სწერენ ხოლმე პატივცემულნი პირნიც, რომელთაც ქართულ მწერლობაში დიდი დვაწლი მიუძღვით. მე მაქვს სახეში საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც თანდათან მავნებელ სენის ხასიათს იღებს. მე მაქვს სახეში ის ცრუ აზრი, ვითომ პირველი საქმე და მოვალეობა ჩვენი იმაში კი არ იყოს, მთელი ჩვენი ძალღონე ეროვნულ ძალთა ორგანიზაციას მოვახმაროთ, არამედ იმაში, რომ **ვიღაცა რაღაცაში** დავარწმუნოთ და ჩვენსკენ გული მოვუბრუნოთ. ეს აზრი ისეა გამჯდარი ჩვენს ინტელიგენტთა წრეებში, რომ ხშირად ქართველი მწერლებიც კი სტოვებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს და რუსულ პრესაში აქვეყნებენ თავიანთ გულის კვეთებას. ამგვარი სულიერი განწყობილება ჩვენის ინტელიგენციისა მისს უძლურობას მოასწავებს და ხალხთან ძაფების გაწყვეტას. თუ სამსახური და შრომა გინდათ, ასპარეზი დიდია. თუ ერის ინტერესი გაფიქრებთ და გაღონებთ, რატომ იმას არა ჰფიქრობთ, რომ თავი და თავი ძალა ერისა მის ძალთა შეგროვებსა და კონცენტრაციაშია. თუ ეროვნულ კულტურას თანაუგრძნობთ, რატომ გავიწყდებათ ის უბრალო აზრი, რომ კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა და აზრის გადმოსაცემად, არამედ იგი სულია ეროვნულ არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილების მაჩვენებელი. თქვენ კი ხალხს ამ ენას ართმევთ და ავიწყებინებთ, რადგან სცდილობთ, რაც შეიძლება მეტად და ფართოდ გაავრცელოთ თქვენი ფურცლები ქართულ საზოგადოებაში. და ამიტომ შეუგნებლად თუ შეგნებულად თქვენა ხართ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ორმოს მთხრელნი. და თუ დაგვემდურებით, თუ ისე მოგეპყრობით, როგორც შეგფერით.

**არჩილ ჯორჯაძე.**

## ქუთაისის სამეურნეო გამოფენა

როგორც უკვე ვიცით, 26 სექტემბერს ქუთაისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. თვით გამოფენის გახსნას არ დავსწრებივარ და მხოლოდ ეხლა მეძლევა შემთხვევა გამოფენის დათვალიერებისა, მისი გაცნობისა და დაფასებისა.

მართალია, ამ გამოფენის იმედი ჩვენ წინდაწინვე არა გვქონია. მისი როლი ჩვენის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოდ მიგვაჩნდა, მაგრამ ზოგიერთებმა მაინც არ უღალატეს თავიანთ ნათქვამს, მოისურვეს გამოფენა და გამართეს კიდეც. უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენის აზრით, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ძირითადს აზრს შეადგენს სოფლის ნაწარმოების, ნამუშევრის, ქირნახულის, საქონლის, ფრინველის და სხვათა გამოფენა. ეს არის უმთავრესი, ამას უნდა ჰქონდეს მეტი ყურადღება მიქცეული, ეს უნდა იყოს დაკვირვების საგანი, მის საკეთილდღეოდ კვლევა-ძიებას, შედარებას უნდა მოხმარდეს მცოდნეთა და საქმის მოყვარულთა ძალა და შრომა. ეხლა-კი რას ვხედავთ? ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილი აუცილებელი მასალა გამოფენისათვის ნამდვილ სურათის ლანდსაც არ წარმოადგენს.

სოფლის ნაწარმოების გამოფენა განისაზღვრება მხოლოდ ორ-სამ ადგილიდან მოგორებულ ორიოდე გოგრით, კომშით და სხვა ხილით. არა სჩანს უმთავრესად სიმინდი, ახალი ჯიშის პური, გაუმჯობესებული ბოსტნეულობა და ვინ ჩამოსთვლის კიდევ რამდენი რამ! სოფელს, რომლისთვისაც უმთავრესად უნდა იყოს ეს გამოფენა, ამ გამოფენაზე არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, და თუ იმას ჩავთვლით ბედნიერებად, რომ მთელი ჩვენი ქვეყნიდან ხუთიოდე მეურნეს მიუტანია ნაწარმი ზოგიერთ ქირნახულისა, შორს ვერ წავალთ.

შინაურ ცხოველებსა და საქონლებში გამოფენაზე არის ორი ხარი, ერთი ძროხა, სამი ყოჩი, რამოდენიმე ქათამი, მამლები და ბატი. ესაა სულ.

სამაგიეროდ, გამოფენა სხვა მხრივაა საყურადღებო. ეს ის მხარეა, რომ ზოგიერთ ვაჭრებს რაც თავიანთ სავაჭროებში საქონელი ჰქონიათ, აქ გამოუტანიათ გასამზევრევლად. ბ-ნ ფეიქაროვს გამოუფენია საზღვარ-გარეთიდან გასასყიდლად გამოწერილი მაკრატლები, ჯაჭვები, ქახრაკები და სხვა რკინეულობა... ბ-ნ როშიაშვილს—როსტოვში ფქვილით მოვაჭრე დიცმანის წარმომადგენელს—როსტოვში დაფქული ფქვილი ტომრებში გამოუშლია. ბ-ნ ჩირიკოვს (ცნობილ „ლატარიის“ გამმართველს) მუსიკალური ნოტები გამოუმზევრებია!!! (ნეტა აქაც ხომ არა ფიქრობს ნოტებით ვაჭრობას!) და სხვა.

შეუძლებელია საქმის მოთავენი არ ამჩნევდნენ თვალნათლივ ნაკლს ეხლანდელ გამოფენისას და სცდილობენ ცოდნით წასწიონ წინ საქმე. კრებებს ლექციები მიაყოლონ და გულნაკლულთ გული მოუგონ. სამწუხაროდ, ამ კეთილმა ცდამაც უნუგეშო შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. 1 ოქტომბერს ქართულ თეატრში დანიშნულმა მეურნეთა პირველმა კრებამ უგემურად, უფერულად და უშინაარსოდ ჩაიარა. თეატრი სავსე იყო, ლაპარაკით კი 3—4 ადამიანი ლაპარაკობდა. ვიღაც მადლიანმა (რუსი იყო) წინადადება შეიტანა, რადგან დამსწრეთა უმრავლესობას რუსული კარგად არ ესმის, ქართულად მოვისმინოთ მათი აზრიო... ამ წინადადებას მოჰყვა ჩურჩული... თავმჯდომარემ საკითხს ყური მოუყრუა და მიფუჩეჩდა... კრება თუმცა გაგრძელდება, მაგრამ ათასიც რომ გაგრძელდეს, სანამ საქმეში საქმის მცოდნე ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას, გასაგები ენით არ ისაუბრებენ, მეურნეობას უცხო ფრაზები და აფორიზმები ვერ ააყვავებენ...

დავუბრუნდები გამოფენას და მოკლედ აღვნიშნავ უფრო საყურადღებო ექსპონატებს. ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს თავ. მ. ნაკაშიძის მიერ გამოფენილი (სოფ. ზღუბანი, გურია) ხილი და ქირნახული. პატარა ფარდულში ორი ვაზია. ერთს მათგანს 61 მტევანი ასხია.

კარგია აგრეთვე ტომაკონსკის (ახალ-სენაკში) ორ-კლასიან სასწავლებლის მიერ გამოფენილი ბოსტნეულობა და ხილი. არის „იაპონურ“ ჯურის წვრილი წითელ მარცვლება სიმინდი.

საუცხოოა ვარშაველ ყრუ-მუნჯთა ხელ-საქმე და საოჯახო ნივთები. არა უშავს-რა ქუთაისის სადმელ მინდვრის მიერ გამოფენილ ავეჯეულობას, ჩალის ლერწამის მაგიდას, სკამს, სავარძელს და სხვა. კარგია ხელ-საქმის განყოფილება. აქ ბევრი ლამაზი ნაქარგ-ნაქსოვია, მაგრამ რადგან ამ ხელობის სუსტი დამფასებელი ვარ, დაწვრილებით აღნუსხვას არ შევუდგები.

სოფელ გუნების-კარის სამრევლო სკოლის მასწავლებელს სოლომონ მარაშავრიას გამოუფენია ამ ორი წლის წინად გამოგონილი ჩარხი, რომელიც ერთ დროს 80-მდე ძაფის ტარზე ახვევს ძაფს. ძალიან მარტივი გამოგონებაა.

რაჭის მთა-ტყეებიდან მადნეულობისა და ხის ნიმუშები ჩამოუტანია ბ-ნ მაჭავარიანს. ორი ვეებერთელა კუნძიც მოუთრევიათ. თუ ეს ამოდენა კუნძები რაჭიდან მოაგორეს, ახლო-მახლო მთა-გორებმა და მადნეულობამ რაღა დააშავა?! რაჭის მთის ნაშთები ალბად ძლიან ობლადა გრძნობენ თავს.

აბრეშუმის განყოფილება მეტად ღარიბია. გამხმარ ჩირივით ორი აცმა აბრეშუმის პარკია კედელზე აკრული.

დასასრულ, ყველაფერს ამშვენებს გამოფენის ბუფეტი. მშვენივრად გამოიყურებიან დაზგაზედ ხელ-უხლებლად მდგარი სხვა და სხვა სასმელები. მუდამ ცარიელ სუფრაზე ლამაზადაა ჩამწკრივებული გადაბრუნებული თეფშები...

ხალხი საზოგადოდ ნაკლებად დაიარება. ბევრი ერთხელ ნახვითა კმაყოფილდება და მეორედ დროს დაკარგვას „გამოფენის“ დათვალიერებაში აღარა სურობს...

**ჯაფარ-ფაშა.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **რედაქტორის დაჯარიმება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, 500 მან. დააჯარიმეს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი პრესის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა 1 და 4 მუხლის დარღვევისათვის. თუ რედაქტორი ხერხეულიძე ამ ფულს ვერ გადაიხდის, ერთი თვით იქნება დაპატიმრებული.

✦ **საგუბერნიო სხდომა.** ხვალ, 5 ოქტომბერს, ტფ. საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში, ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით, დაიწყება საგუბერნიო სხდომა ერობის შესახებ. უბილეთოდ არავის შეუშვებენ.

✦ **სხდომის გადადება.** პარასკევს საღამოსთვის დანიშნული იყო სხდომა ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულ საკონკურსო კომისიისა, რომელსაც უნდა მოეხდინა არჩევნები ქალაქის საავადმყოფოთა პირველ პავილიონის უფროს ექიმისა და იმის თანაშემწეთა. სხდომა გადაიდო დღეისთვის.

✦ **ალმანახი.** დღეს გამოვა ალმანახი „ჩვენი ერი“ შემდეგის შინაარსით: „საგულის ხმიერო იუბილე“, „ლერწამი“ ლექსი ა. შანშიაშვილისა, — „ნ. ხიზანაშვილი“, გ. ყ—სა. — „ხმა“, ლექსი ი. გრიშაშვილისა, — „დათვი“, ვაჟა-ფშაველასი. — ლექსი შ. ამირაჯიბისა. — „ქართული თეატრი“. — „ერის უფლება“, Bâton—ისა. და „ქართულ სამართლის ისტორია“, ი. ჯავახიშვილისა.

✦ **ძეგლი და ფონდი.** გუშინ, 3 ოქტომბერს, წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო 2000 მან. ტფ. გუბერნიის თავ.-აზ. საკრებულოსაგან. ამ ფულიდან 1000 მან. გადადებულია ილია ჭავჭავაძის ძეგლისთვის, ხოლო 1000 მან.—აკაკი წერეთლის სალიტერატურო ფონდისთვის.

✦ **პოლიტიკური საქმეები.** 15 ოქტომბერს ქუთაისში ტფ. სამოსამართლო პალატის სესია განიხილავს არტემ კაკაბაძისა და ვასო გეთიას საქმეს. კაკაბაძეს ჰბრალდება 1905 წელს ტყიბულში ჯარისკაცთა რაზმზე იარაღით თავდასხმაში მონაწილეობა, ხოლო გეთიას ამავე წელს ზუგდიდის მაზრის სარევოლიუციო მოძრაობაში მონაწილეობის მიღება.

✦ **მარშლის დამტკიცება.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად არჩეული თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილი ხელმწიფე-იმპერატორმა დაამტკიცა თანამდებობაზე.

✦ **დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორმა სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დააჯარიმა: ივანე მამიკონოვი (იარაღის ტარებისათვის) 100 მანეთით, ანუ ერთი თვით ციხეში დაპატიმრებით, კონსტანტინე შეპელოვი 25 მან., ფილიპე ვეტუხინი—25 მან. ანუ 7 დღის დაპატიმრება.

✦ **სტიპენდიები.** ტფ. ქალაქის თვით-მართველობის სტიპენდიები განთავისუფლდა: 3 სტიპენდია ტფ. ქალთა პირველ გიმნაზიაში, 1 სტიპენდია ქალთა მეორე გიმნაზიაში, 1 სტიპენდია—ტფ. რეალურ სასწავლებელში და 1 სტიპ. პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტში. თავისუფალ სტიპენდიის მისაღებად მსურველებმა თხოვნები ტფ. ქალაქის გამგეობას უნდა წარუდგინონ.

✦ **ახალი სატუსაღო.** რუსულ გაზეთების სიტყვით, მთავრობას 300,000 მანეთი გადაუდვია ახალ სატუსაღოს ასაგებად.

✦ **ქართული სკოლა ბაქოში.** დღეს, 4 ოქტომბერს, ბაქოში ოფიციალურად გახსნიან პირველ დაწყებით სკოლას ბაქოელ ქართველთათვის, რომელიც დაარსა წ.-კ. გამ. საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ. სკოლის გახსნის გამო საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა დეპეშა გაუგზავნა ბაქოში და განყოფილებას მიულოცა პირველი ნაბიჯი მოღვაწეობისა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** დღესასწაულისა გამო ხვალ, 5 ოქტომბერს, ტფ. საბჭოს სხდომა არ მოხდება. საბჭოს სხდომა გადაიდო ხუთშაბათისათვის.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, ხელი შეუწყონ თეატრებში წესიერებას დაცვას. პოლიცმეისტერი თვით თეატრების გამგეთაც ავალებს, რომ ტანისამოსის გადასახადის განცხადება გამოაკრას და რაოდენობაც აღნიშნოს გადასახადისა. თუ ტანისამოსის შენახვისათვის ჯამაგირი თეატრიდან ეძლევათ კაპელდინერებს, ისიც უნდა იქნეს აღნიშნული განცხადებაში.

✦ ამ რამდენიმე ხნის წინად ტფ. ქალაქის საბჭომ გადასდო 30,000 მ. ელისაბედის ქუჩაზე დეკენზევიჩის სახლისა და მიწის შესაძენად სკოლის სადგომად. რადგან გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება, გამგეობა შეუდგა ნასყიდობის ქაღალდის შედგენას. ამიტომ გამგეობამ ამას წინად წაიღო ნაყიდ ადგილის დასათვალიერებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დეკენზევიჩს გაუყიდავ ადგილის ერთი ნაწერი თავის დისთვის მიუზომია. ამან ადგილის ყიდვის დამთავრება შეაჩერა.

✦ 2 ოქტომბერს პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ნიკოლოზ ცხვარაძე.

✦ 2 ოქტომბერს მიხეილის პროსპექტზე პოლიციელებმა აიყვანეს მძიმე ავადმყოფი ვერა პრონინისა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში მიყვანისათანავე გადაიცვალა, რით იყო ავად პრონინისა ვერ გავიგეთ.

**შეცდომის გასწორება.** „დროების“ დამატებაში დაბეჭდილ პიესაში „უეცარი ტალღა“ ორი სერიოზული შეცდომა შეპარულა: 1., უკანასკნელ ნომრის მესამე გვერდზე, პირველ სვეტში, არჩილი იწყებს: „ხიდი ხემსა და“... უნდა იყოს: „ძლივს გაიბა ხიდი და სხვა“ 2. სულ ბოლოს ფრჩხილებში „იწყებს ანაფორის კალთას და ცრემლებს იწმენდს“ ეს მოქმედება ეკუთვნის ალექსის და არა ექვთიმეს, როგორცა სჩანს ტექსტიდან. არის სხვა წვრილმანი შეცდომებიც, მაგრამ იმათ თვითონ მკითხველიც მიჰხვდება. ამასთან პიესა ნებადართულია წარმოსადგენად და რედაქცია შემთხვევით დაავიწყდა შესაფერი შენიშვნა გაეკეთებინა.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 4 ოქტომბერს, ქართულ თეატრში საინტერესო წარმოდგენაა. წარმოადგენენ ივ. მაჭავარიანის მიერ თარგმნილს ოსტროვსკის პიესას „უდანაშაულოდ დასჯილნი“-ს. მონაწილეობას იღებს მთელი დასი და, სხვათა შორის, ქ-ნნი ჩირგაძე და კოლხიდელი, აგრეთვე ქუთათური არტისტი ბ-ნი ზარდალაშვილი, რომელიც წელს ტფილისის დასში მიიღეს.

—

**ხახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ზუბალაშვილების სახლში ქართულ სექციის მიერ გაიმართება იაფფასიანი წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. წარმოადგენენ ოსტროვსკის ცნობილ პიესას „შემოსავლიანი ადგილი“.

—

**ბაქო.** კვირას, 27 სექტემბერს, ბაქოს მეზღვაურთა საკრებულო დარბაზში ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა დაიწყო ქართულ წარმოდგენების წლევანდელი სეზონი. წარმოდგენილ იქნა აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. ეს დასი ეკუთვნება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს ფილიალურ განყოფილებას და მას შეადგენს სცენის მოყვარეთა პატარა წრე, გარდა ორი ადამიანისა. პირველი გახლავთ ცნობილი მსახიობი ქალი ეფ. მესხი, ხოლო მეორე არტისტი ამაშუკელი. ამავე დასში არიან დახელოვნებული სცენის მოყვარენი ნინო გამრეკელი (ტოხელი) და დ. შველიძე. ეს პატარა ჯგუფი ერთის სულით, ერთის გულით და ერთის მისწრაფებით არის გატაცებული—უნდა ემსახუროს სცენას.

„პატარა კახი“ მომზადებულ იქმნა ქ-ნ ნინო ტოხელის რეჟისორობით. მანვე შეასრულა თვით პატარა კახის როლიც. წარსულ სეზონში ნიჭიერ ქალს ბევრჯელ დაუმშვენებია აქაური სცენა თავის თამაშით და წელსაც პირველადვე დაგვატკბო. ქ-ნმა ტოხელმა არავის მიჰბაძა და თავისებურად ჩაატარა ეს როლი. მან გვაჩვენა ლამაზი, კოხტა, ... პატარა კახი. მას გვერდს უმშვენებდა ქ-ნი ეფ. მესხი ... ქეთევანთვის. ... ცნობილ მსახიობის ქება-დიდებას, ერთი მისი გავლა-გამოვლა სცენაზე გაგრძნობინებდათ, რომ ღონიერ და დახელოვნებულ არტისტებთანა გაქვს საქმე. ყურადღება მიიქცია ა. მ. ახობაძემ გელას როლში. კარგი იყო აგრეთვე ამაშუკელი მეფე თეიმურაზის როლში, მხოლოდ გრიმი ვერა ჰქონდა კარგი. არა უშავდა რა ქალ. ლიახვისპირელსაც (დედოფალი თამარ). შველიძემ და თალაკვაძემ ცოცხალად დაგვიხატეს პირველმა გივი ჩოლოყაშვილი და მეორემ ლევან ქავბულიძე. თავის ალაგას იყო მატარაძე (რევაზ ბებურიშვილი), მაგრამ იმისგან უფრო მეტს მოველოდით. სხვებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს.

საერთოდ პიესამ სასურველად ჩაიარა და ეტყობოდა რეჟისორის ერთგული შრომა და ხელი. მთელი დარბაზი საზოგადოებით გაჭედილი იყო და ტაშის ცემასაც საზღვარი არა ჰქონდა.

**ალ. ნ—ძე.**

—

**ქუთაისი.** ხუთშაბათის წარმოდგენით დამსწრენი მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. ამ საღამოს ითამაშეს ზუდერმანის ცნობილი პიესა „პატიოსნება“. ამ პიესას ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან ბევრჯელ წარმოუდგენიათ ტფილისშიაც და აქაც. მსახიობებმა თავიანთის კარგის თამაშით მხურვალე ტაში გამოიწვიეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებამ, როგორცა სჩანს, შეიწყნარა თეატრის გამგეობის თხოვნა შესახებ იმისა, რომ მოქმედების დროს ტაში არ დაუკრან, რათა პიესის მთლიანობას და მიმდინარეობას ხელი არ შეუშალონ, და მთელი შეკუმშული თანაგრძნობა სცენის დასასრულს იჩენს ხოლმე თავს, რაიცა დროის შესაფერიცაა და სასიამოვნოც.

მეტად კარგი იყო ბ-ნი იმედაშვილი რობერტის პასუხსაგებ როლში. განსაკუთრებით მოგვეწონა მესამე მოქმედებაში, სადაც მისმა სულიერმა ტანჯვა-კაეშანმა ბევრს მოჰგვარა ცრემლი თვალებზე. არა ნაკლებ საყურადღებო იყო ის წამი, როდესაც რობერტი ბოლო მოქმედებაში გაბრაზებული მივარდება კურტს და რევოლვერით მოკვლას უპირებს.

ბ-ნი გუნია ტრესტის როლში შეუდარებელი იყო. დაკვირვებული თამაშობა, ტკბილი, მომხიბლავი ხმა და კილო. მსახიობს ერთგვარად ეხერხება როგორც ლმობიერობის-გულკეთილობის გადმოცემა, ისე მრისხანებაშურისძიების დახასიათება.

კარგი იყო ბ-ნი ბალანჩივაძე. ესაა მხოლოდ, რომ კოჭლობა ეშლებოდა: ხშირად მტკივანი ფეხი ეცვლებოდა და ხანგამოშვებით ძალიან იზნიქებოდა.

ბ-ნი მურუსიძე კურტის როლში არ იყო ცუდი. მშვენიერი იყო ბ-ნი დადიანი. ბ-ნთ ყალაბეგიშვილს და ბარველს თავისი პატარა როლები, რასაკვირველია, არ გაუფუჭებიათ. ბ-ნმა ნემომ ამ საღამოს როლი არ იცოდა. სულ კი ოციოდე სიტყვა ჰქონდა სათქმელი, და ხშირად სიტყვების უცოდინარობისა გამო ისე ამოძრავებდა სახეს, თითქოს სახის მოძრაობითა სურს ბაასიო.

მოთამაშე ქალებში ჩვენ ყველაზედ მეტი ყურადღება გვინდა მივაქციოთ ქ-ნ ასათიანისას. ეს ახალგაზდა ქალი სულ მეორედ გამოდის ჩვენს სცენაზე, და, ჩვენის აზრით, მას უნდა ჰქონდეს კარგი მომავლის იმედი, თუ სცენაზე თამაშის სურვილიან ერთად შრომისა და თვითგანვითარების სურვილიცა დიდი ექნება. ალბათ როლი ამ მსახიობისათვის ჯერ რთულ როლად უნდა ჩაითვალოს და თუ მან ამ როლს სავსებით ვერ დასძლია, რა გაეწყობა. ჩვენ ქ-ნ ასათიანის თამაშში სცენაზე. მოძრაობა—მოქმედება უფრო მოგვწონს, ვიდრე მის მიერ სიტყვიერად როლის გადმოცემა. ალაგალაგ მსახიობი ძლიერ ჩამორჩებოდა ხოლმე თავის მოსაუბრეს და სათანადო ტონს ველარ პოულობდა.

ქ-ნი რონდელისა ამ საღამოს უფრო მოგვეწონა. ისეთი დისონანსი აღარ ისმოდა იმის ხმასა და მოძრაობაში, როგორც წინად. ამ მსახიობს მეტად ემარჯვება საზოგადოების ზურგის შექცევა და იმგვარად როლის ასრულება. ეს შეიძლება ადვილიც იყოს და მსახიობში ნაკლებ მღელვარებას იწვევდეს, მაგრამ მაყურებლისათვის არაა სულ ერთი მსახიობის სახის ნაცვლად მის ზურგს მისჩერებოდეს.

ქ-ნი ივანიძისა ამ საღამოს სუსტი გვეჩვენა. თავიდანვე ხმა წვრილი, ავადმყოფ ადამიანივით უგემურად ლაპარაკობდა.

წარმოდგენა დაიწყო სრულ რვა საათზე, და მიუხედავად დიდ მოქმე-

დებისა, ხანმოკლე ანტრაქტების წყალობით 11 საათზე დასრულდა. ეს მეტად სასიამოვნოა. ხალხს რაც შეიძლება ადრე დაბრუნება ურჩევნიან სახლში, რადგან ბევრს უხდება თითო საათით სიარული თავის სახლამდე ქუთაისის ოლრო-ჩოლროდა ბნელ ქუჩებში.

შემდეგი წარმოდგენები დანიშნულია შაბათსა და კვირისთვის. პირველი წარმოდგენაა სახალხო. ითამაშებენ ბეიერის დრამას „სამხედრო ბანაკში". კვირას ჩვეულებრივ ფასებში წარმოდგენილი იქნება ბ-ნ შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა".

ჯაფარ-ფაშა.

# ოსმალეთის ამბები

**რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ლივადიაში.**

ოსმალეთის საგანგებო დესპანებს ლივადიაში მრავალ მნიშვნელოვან საგანზე ჰქონიათ თათბირი რუსეთის წარმომადგენლებთან იზვოლსკისთან და ჩარიკოვთან. ამ თათბირს, როგორც გაზეთები იუწყებიან, დიდი შედეგიც მოჰყოლია.

„რუს. სლოვო"-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: ლივადიიდან დაბრუნდა ოსმალეთის საგანგებო დესპანი რიფაატ-ფაშა. დიპლომატთა წრეებში ირწმუნებიან, რომ რუსეთი დასთანხმდა კაპიტულიაციების გაუქმებას ოსმალეთში, ესე იგი საკონსულო სასამართლოების გაუქმებასო; ამას გარდა რუსეთმა უარი სთქვა იმ კონცესიაზე, რომლის თანახმად მას მცირე აზიაში რკინის გზების გაყვანის უფლება ჰქონდა. ზოგიერთ გაზეთის ცნობით კი, ამ მეორე საგანზე რუსეთის და ოსმალეთის წარმომადგენელნი ვერ შეთანხმებულან.

**დარდანელის სრუტის საქმე.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ, რომ დარდანელის სრუტის საქმეს ოსმალეთის პარლამენტი ამ შემოდგომაზე განიხილავს

**გერმანიისა და რუსეთის მოლაპარაკება**

სტამბოლში შეუტყვიათ, რომ გერმანიასა და რუსეთს მოლაპარაკება ჰქონიათ შავი ზღვის თაობაზე და რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი დათანხმებულა, რომ გერმანიის სამხედრო გემებს უფლება მიეცეთ შავს ზღვაში თავისუფლად სიარულისა იმ პირობით, რომ ოსმალეთმაც მისცეს უფლება რუსეთის სამხედრო გემებს თავისუფლად იარონ დარდანელის სრუტეშიო (კ.).

# ქართველ სტუდენტთა კავშირის გამო

(შემდეგი *)

როგორცა სჩანს, ის ნიადაგი, რომელზედაც შეუძლიან შეკავშირდეს ქარ. სტ-ბას, მიუხედავად მიმართულებისა, არის ორ-მხრივი კულტურული მეცადინეობა და ეკონომიური მხარე. ყველა ამის განხორციელება, რასაკვირველია, მოითხოვს შესაფერ ორგანიზაციას, ურომლისოდაც ყველა ზემოდ ნათქვამი ლითონ სიტყვებად დარჩება. კარგი ორგანიზაცია კი უნდა განისაზღვრებოდეს როგორც კავშირის მიზნით, ისე ჩვენის სტუდენტობის განსაკუთრებული ცხოვრების პირობებით. პირველი მხარე კულტურულ მუშაობისა მოითხოვს ადგილობრივ სხვა და სხვა ჯგუფის დაარსებას ამა თუ იმ საგნის შესასწავლად. ამ მხრივ ყველაზე მეტად გვაინტერესებს ქართულ ცხოვრების შესწავლა, რისთვისაც საჭირო იქნება შესასწავლი მასალა-წიგნები და სხვა, რომლებიც ადგილობრივ არ იშოვება და მოსაპოვებელია მხოლოდ ქართველთა ცხოვრების ცენტრში. მეორე მხარე—პრაქტიკული მუშაობა საქართველოში—მოითხოვს შესაფერ პირობების შექმნას, რომელიც ზაფხულში მისულ სტ-ობას შეძლებას მისცემს განახორციელოს თეორეტიულად შესწავლული. მაშასადამე, როგორც პირველი მხარე, ისე მეორე საჭიროებს ადგილობრივ, ქართველების საცხოვრებელ ცენტრში, რაიმე სახელმძღვანელო ორგანოს, რომელიც უნდა შესდგებოდეს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქის წარმომადგენლისაგან. რათა ეს ტეხნიკურად განხორციელდეს, წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ არა სტუდენტებიც, ახლად კურს დამთავრებულნი, რომელნიც ჯერ კიდევ ახლო სდგანან თავიანთ საუნივერსიტეტო ქალაქის ქ. სტუდ.-ბის ცხოვრებასთან და, მაშასადამე, შეუძლიანთ იყვნენ მისი ინტერესების გამომხატველნი. ეს ბიურო იქნება მხოლოდ აღმასრულებელი ორგანო, კანონმდებელი კი—ყოველ წელს მოწვეული სტუდ.-თა ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. ამასვე უნდა დაეკისროს ზრუნვა ქარ. სტ-ბის ეკონომიურ მხარეზე, რადგან თუ სტ-ობას რამე დახმარება ეძლევა—ეძლევა ქართველ საზოგადოებასაგან. ეს კრებები, ეს საერთო საქმე, რასაკვირველია, დაახლოვებს ქ. სტ-ბას ერთმანეთთან და შექმნის მათ შორის სულიერ ერთობას, რაც ასე ძლიერ საჭიროა ჩვენის ინტელიგენციისთვის.

მაშ ასე, მოკლედ დღევანდელი მდგომარეობა მომავალ ქართველ სტ-თა კავშირისა ასეთია: ქარ. ს-ობა კავშირდება კულტურულ და ეკონომიურ ნიადაგზე; თეორიტიული და პრაქტიკული მუშაობა: 1) ადგილობრივ შესწავლა ქართველ ისტორიისა, ენის, ლიტერატურისა იურის პრუდენციისა, ეკონომიურ ცხოვრების პირობებისა და სხვა; 2) ზაფხულებით ლექციების კითხვა; ზემო მომოყვანილ საკითხებიდან და აგრეთვე სპეციალურ საგნებიდან, სტატისტიკურ ცნობების შეკრება, ბიბლიოთეკების დაარსება, წარმოდგენების მართვა და სხვა; ამისთვის საჭიროა ადგილობრივ ქარ. წრეების სხვა და სხვა სამეცადინო ჯგუფად დაყოფა და მათი საუყველასი ფედერატიულად დაკავშირება, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს რომელიმე ცენტრში დაარსებული ორგანო, თანახმად სტუდ-თა ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებების დადგენილებისა. წარმომადგენელთა კრება ყოველ წლივ უნდა მოხდეს. როგორც ყველა ზემოდ ნათქვამიდან, შინაარსი ჩვენის მომავალ კავშირისა ორ მხრივი კულტურული მუშაობაა, დღევანდელ მომენტის მიერ წარმოშობილი მოთხოვნილება, შეფარდებული ქართულ ცხოვრებასთან და მოწყობილი ქარ. სტ-თა ცხოვრების პირობების დაგვარად. ფორმა კი ამ კავშირისა წარმოადგენს თითქმის დასკვნას ზემოდ აღნიშნულ ორგანიზაციების ტიპებისას, დაწყებული კავკასიურ „ზემლიაჩესტვოებიდან" და დათავებული ქართულ კულტურის მოყვარეთა წრეებით, მხოლოდ შეფარდებულს მიზანთან.

როგორც მკითხველი დაინახავდა, ჩემ მიერ აქ აწერილი ქართ. სტ-თა მომავალი კავშირი და ბ-ნ ს. ქავთარაძის წარმოდგენა იმის შესახებ, ვითომ იგი უნდა მხსნელი იყოს ქართველს ხალხისა (ქარ. სტ-ობა ერთსა და იმავე დროს უნივერსიტეტშიაც იქნება და ხალხშიაც იმუშავებს) მეტად დაშორებულია ერთმანეთზე. ბ-ნი ქავთარაძე ამ მხარეს მომავალ კავშირისას ან სულ არ იღებს მხედველობაში, როგორიც არის თვით-შემზადება და ეკონომიური მხარე, ან, თუ იღებს, ისიც მეტად დამახინჯებულად, ამიტომ არც გასაკვირველია რომ იგი მომავალ კავშირს უარყოფით ეკიდება. მაგრამ განვიხილოთ მისი არგუმენტაციაც კავშირის წინააღმდეგ და ვნახოთ, რა ღირსებისაა იგი.

გ. დაფქვიაშვილი.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „დროება" N 216.

# რუსეთი

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: აზინსკში 1, ვარშავაში 10, სარატოვში 2, პეტერბურგში 1, ხარკოვში 3, რიგაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ჩერნიგოვში 1, მოსკოვში 2, ხარკოვში 1, სევასტოპოლში 2, ოდესაში 3 კაცი.

✦ **ახალი გაზეთი.** „რუსკოე ზნამია" იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ დეკანოზი ვოსტორგოვი ამ მოკლე ხანში ახალ ყოველ დღიურ გაზეთს „რუსკი მისიონერ"-ს გამოსცემს. სინოდს აღუთქვამს, რომ ეკლესიებს და საეკლესიო სკოლებს ვაიძულებთ „რუსკ. მისიონერი" გამოიწერონო. ამას გარდა თვითეული მღვდელი და სოფლის მასწავლებელი მოვალე იქნება გაზეთს უსასყიდლოდ კორესპონდენციები მიაწოდოს. ამრიგად ვოსტორგოვს მარტო სინოდის განკარგულებით 55,000 წლიური ხელის-მომწერი ეყოლება. და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გაზეთი წლიურად 10 მანეთი ღირს. ვოსტორგოვს მარტო ეკლესიებიდან და სკოლებიდან 550,000 მანეთი შემოსავალი ექნება. რა კარგია ამისთანა „მონარქისტობაო", დასძენს გაზეთი. დიახამც რომ კარგია 550,000 მანეთი!

✦ **ახალი წესები.** „კასპი" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ხმა დადის, სამხედრო სამინისტრო ახალ წესებს იმუშავებს. ამ წესებით „საინტენდატსვოებმა" იჯარები მხოლოდ მართმადიდებლებს უნდა მისცენ. სხვა სარწმუნოების პირებთან „საინტენდატსტვოები" არავითარ საქმეს არ დაიჭერენო.

✦ **განსაჩივრება.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ოდესის განყოფილებას დაუდგენია სენატში განასაჩივროს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ბროდსკის არჩევნები. „ჭეშმარიტი რუსები" თავიანთ საჩივარს იმით დაასაბუთებენ, რომ ბროდსკი არჩევნების დროს თავის თავს არკადის უწოდებდა, როდესაც მას ხაიმი ჰქვიანო.

✦ **რევიზია.** „რეჩის" სიტყვით ოდესაში წასულა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენერალ-მაიორი კურლოვი. გაზეთის აზრით, კურლოვს აზრად აქვს გამოიძიოს ოდესის გრადონაჩალნიკ ტოლმაჩევის მოქმედება სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევნების დროს.

✦ **თვალყურის დევნება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გუბერნატორებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია. სამინისტრო გუბერნატორებს სწერს, სასტიკი ყურადღება მიაქციეთ ჰაეროპლანების და დირიჟაბლების ფრენას, დაუყოვნებლივ შეადგინეთ სია ჰაეროკლუბებისა და ჰაეროკლუბების წევრებსა. საიდუმლოდ თვალყური ადევნეთო.

✦ **მაჰმედ-ალი სპარსეთში.** „რუსკ. სლოვო"-ს ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ: სპარსეთის შაჰად ნამყოფი მაჰმედ-ალი ძალიან კმაყოფილია ქალაქ ოდესით. ამ დღეებში მაჰმედ-ალი ქალაქს დაათვალიერებს. განზრახული აქვს დაათვალიეროს ქარხნები, სახელოსნოები და შესანიშნავი ადგილები. ამბობენ, ვითომ ნაშაჰარს განზრახული ჰქონდეს შეადგინოს თავის მეფობის ისტორია. ნაშაჰარი დაამტკიცებს, რომ იგი ინტრიგების და ღალატის მსხვერპლად გახდა. თავის შვილებს მაჰმედ-ალი ევროპიულ განათლებას მისცემს. საზღვარ-გარეთის ერთი სინემატოგრაფის პატრონმა მაჰმედ-ალის წინადადება მისცა სინემატოგრაფისთვის თქვენ სურათები გადავიღებთო, მაგრამ უარი მიიღო.

# წერილი რედ. მიმართ

30 აგვისტოს შესრულდა ორი წელიწადი, რაც ჩვენ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს გული გაუგმირეს და ჩვენ, გურჯაანელებმა-კი ერთხელაც ვერ ვეცით პატივი განსვენებულის ხსოვნას. არ დარჩენილა კუთხე, სადაც ან ფული არ შეეკრიბათ, ან არ გაემართოთ რამე. ამიტომ 30 აგვისტოს, განსვენებულის გარდაცვალების ორი წლის თავზე, კნ. დარის ლევანის ასულის ანდრონიკაშვილის თაოსნობით და მეცადინეობით, ჩვენც განვიზრახეთ ფულის შეკრება. მოუწოდეთ ხალხს, გადავიხადეთ პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად და შევაგროვეთ ფული. ამასთანავე გიგზავნით 70 მანეთს და გთხოვთ გადასცეთ წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებას ილიას ფონდისთვის*).

შემომწირველთა სია: ხუთ-ხუთი მანეთი: თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი, კნ. დარია ლევანის ასული ანდრონიკაშვილისა, ელენა ალექსანდრეს ასული ბებუთოვისა; ანნა იაკობის ასული აკერმანისა 3 მ., თეოდორ აკერმანი 2 მ., კნ. მარიამ დავითის ასული ანდრონიკაშვილისა 1 მ. 60 კ., კნ. ნინო სოლომონის ასული ანდრონიკაშვილისა 2 მ., თავ. მიხეილ რევაზის ძე ვაჩნაძე 1 მ. 50 კ., თავ. ლევან აბელის ანდრონიკაშვილი 2 მ. 50 კ.; თითო მანეთი: თავ. ლუარსაბ ყარალაშვილი, თავ. ნიკო ავალიშვილი, კნ. ამასტასია გიორგის ასული ანდრონიკაშვილი, კნ. სუზანა ჯორჯაძისა, თავ. ივანე გიორგის ძე ჯორჯაძე, კნ. ელენე ანდრონიკაშვილისა, თავ. დავით ჩოლოყაშვილი, კნ. ქეთევან ჩოლოყაშვილი, მურდახან მუსა-ოღლი, კნ. ბეტი ანდრონიკაშვილისა, ივანე თუშმალოვი, დიმიტრი ქიტიაშვილი, ისაკ მუსა-ოღლი, კნ. მარო ჯანდიერისა, კნ. თამარ აბაშიძისა, მღვ. პავლე კარბელაშვილი, ლევან სიხარულიძე, მღვ. იოსებ ახალშენიშვილი, კნ. ანნა იოსების ასული აბაშიძისა, კნ. ვერა ანდრონიკაშვილისა, თავ. დავით ზურაბის ძე ანდრონიკაშვილი, მუკუზნის მამასახლისი, ჩუმლაყის მამასახლისი, ალექსანდრე აკოფოვი, ეფრემ ისაკოვი; ათ-ათი შაური: ს.-აზნ. სკოლის მოსწავლე ვიქტორ ვაჩნაძე, თავ. არჩილ აბაშიძე, ილია ხიზლაძე, მარიამ პავლეს ასული სავაჩეხსკი, ნინო ჩიტაშვილისა, თამარ კარბელაშვილისა, ოლგა ათაბეგოვისა, ნატალია ჯოხაძისა, ანდრია კაზლოვი; ორ-ორი მანეთი: ივანე ნიკოლოზის ძე უზნაძე, სვიმონ ჯალალოვი; სამ-სამი მანეთი: მღვ. გერასიმე ჭანტურიძე, დიმიტრი ოდიშელიძე, კნ. კირა გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა 90 კაპ., კნ. ტასო ვაჩნაძისა 35 კაპ., ქალია გულხადარაშვილისა 25 კ., თითო აბაზი: ნატალია ტარუღოვისა, მარიამ ჩიტოშვილისა, მოსე ტარუღოვი, ნუშო მინასოვისა, დათიკო შაიშმელოვი, ვანო ჯანაშვილი, ვანო ნიბლაძე

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მღვ. გერასიმე ჭანტურიძემ წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა, შეთხზული კნ. დარია ლევანის ასულის ანდრონიკაშვილის მიერ, ხოლო კნ. დარია ანდრონიკაშვილისამ წაიკითხა თავისივე ლექსი.

ვინმე ქართველთაგანი.

*) ფული უკვე გადაეცა წერა-კითხვის საზოგადოებას. რედაქცია.


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1}/_{4}$ ს. შინ. და ბავშ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1}/_{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—185)

# იყიდება

**ორი ნაჭერი** მიწისა თავად-აზნაურთა გიმნაზიასთან, ვერაზე, ვაკეში: 1 ზომით 360 ოთხ-კუთხი საჟ. 2. 436 ოთხ-კუთხი საჟ. ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყიფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილით 10 ს.-დე და საღამოთი 4—7 საათზე.

(2—482—2)

# ვამლევ გაკვეთილებს

ვამზადებ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. თეატრის ქუჩა, № 10 **სტუდენტი-პოლიტეხნიკი.**

(5—2)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა.

(უ)

**იაფად იყიდება სრული თხზულება**

# ი. ჭავჭავაძისა

(ოცდაცხრა წიგნად)

ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. მანეთიანი იყიდება 60 კაპ., ვინც 5 ც. მეტს იყიდის, წიგნი დაეთმობა 50 კ. წიგნის დაბარება და ყიდვა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოება, ვ. ედილაშვილი. (ნ. 10—4)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 2.

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე, კიროჩნი, N 9.

(უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის N 4, სახლი გაბაშვილისა.

(უ)

# 200 მანეთს საჩუქრად ვაძლევთ 200



იმას, ვინც დაამტკიცებს, რომ ქვემოდ დასახელებული ნივთები არ შეეფერება ჩვენ მიერ დადებულ ფასებს



**მხოლოდ 3 მ. 95 კ. ნაცვლად 12 მანეთ.**

უგზავნით 12 უსაჭიროეს, ფასიან ნივთებს:

1) საათი შავი ფოლადისა, ანკერის ქვებზე, მომართვა უგასაღებოდ 36 საათში ერთხელ; პირობასა ვდებთ, რომ 6 წელიწადს არ დადგება; 2) კოხტა მოდის ძეწკვი; 3) ასეთივე ბრელოკი; 4 ზამშის ბუდე საათის შესანახად; 5) ტყავის პორტმანე 7 განყოფილებით; 6) კაუჩუკის შტემპელი შემკვეთელის სახელით, მამის სახელით და გვარით; 7) შუშა წამალი შტემპელისთვის; 8) ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო ნ ი ვ თ ი: ამერიკული უშიშარი სამართებელი „მულკუტა", რომლითაც ყველას ადვილად შეუძლიანთ წვერის პარსვა; 9) ნიკელის სასმელი ფერებისა; 10. ნიკელის ფინჯანი; 11) ამერიკული სტერეოსკოპი, რომელშიაც კაცი ყოველგვარ სურათს დაინახავს; 12) 25 ორიგი ფოტოგრაფიული სურათი. ყველა ეს ნივთები მსურველს 3 მ. 95 კ. გაეგზავნება. თუ უხმო დახურული საათიც იქნება—1 მანეთით უფრო ძვირია.

ადრესი: Складъ часовъ Т—во „Универсаль", Варшава, Холодная, 22. მოწერა რუსულ ან გერმანულ ენაზე.

(Метцль и К. N 55955) (3—6.—2)

◀ მ კ ე რ ვ ა ლ ი ▶

# ნ. თ. ჩეკმარიოვი

ძმ. ძეველლოვების თევზის სავაჭროს მალია მიღებულია დიდძალი მატერია ინგლისისა და რუსეთის საუკეთესო ფაბრიკებისა. შეიძლება შეკვეთა სამხედრო, სტატსკურ, სამოქალაქო უწყებათა და მოწაფეთა ტანისამოსზე. შეკვეთილს ჩემის ზედამხედველობით ამზადებენ მაღაზიები: 1) პუშკინის ქ. № 9. და მიხეილის პროსპექტი № 131.

(5—3) პატივისცემით **ნ. თ. ჩეკმარიოვი.**

**ახლად გახსნილ** ლორის-მელიქოვ. ქ. № 6, ფოსტის მახლობლად ხრომოლიტოგრაფიაში

# „ამხ.-ბა ლევიტ და მესნიკ"

შეიძლება შეკვეთა ყოველგვარ სალიტოგრაფო საქმისა. ფასები ზომიერია. ყველა-ფერი კოხტად და კარგად კეთდება. სპეციალურად სადარბაზო ბარათები, ბლანკები, ანგარიშები.

(12—გაჟ.—2)

# 1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან

# ● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე. სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.

(20—გაჟ.—3)

# პროვოდნიკის

1897 წ. 1908 წ. 1888

# ამხანაგობა

## რ ი გ ა შ ი

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

## ● იყიდება ნარდად და ცალობით: ●

**რეზინის საეკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი"** (წითელი),

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

**„პროვოდნიკი"**-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.